



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბრინჯაოს მღვიმე

ბრინჯაოს მღვიმე, მუსტიესა და ენეოლით-ადრინდელი ბრინჯაოს ხანის მრავალფენიანი ძეგლი კარსტული წარმოშობის მღვიმეში, ტყიბულის ზონაში შემავალ სოფ. ცუცხვათის ტერიტორიაზე, მდ. შაბათელის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 300 მ. წარმოადგენს ცუცხვათის მრავალსართულიან მღვიმეთა სისტემის V იარუსს. გაითხარა 1974-76 (ხელმძღვ. ლ. მარუაშვილი და დ. თუშაბრამიშვილი). ფიქსირებულია 24 ლითოლოგიური ფენა. VII-XXII ლითოლოგიური ფენები შეადგენს 5 მუსტიურ ფენას, ხოლო I-VI - ენეოლით-ადრინდ. ბრინჯაოს ხანის ფენებს, XXIII-XXIV ფენები სტერილურია. ხუთივე მუსტიურ ფენაში აღმოჩენილია 7279 ნივთი (ნუკლეუსები, ანატაკეც-ლამელები, სხვადასხვა სახის დაკბილული იარაღი და სხვ.). ფაუნა წარმოდგენილია მგლის, მღვიმური და მურა დათვის, ბიზონის, შვლის, მარტორქის და სხვა ცხოველთა (24 სახეობის ძუძუმწოვარი და 6 სახეობის ფრინველი) ძვლების ნაშთები ნასუფრალის სახით. II მუსტიურ ფენაში (XVIII ლითოლოგიური ფენა) აღმოჩენილია 12-13 წლის ნეანდერტალელის ზედა საძირე კბილი. ბ. მ-ის შუა პალეოლითური ფენები მუსტიეს ეპოქის სხვადასხვა საფეხურით თარიღდება.

ენეოლით-ადრინდ. ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. IV-III ათასწლ.) ფენებში აღმოჩენილია დას. საქართვე. მღვიმური კულტურისათვის დამახასიათებელი კერამ. ნაწარმი, გახეხილ-გაპრიალებული ქვის იარაღი, კაჟის ისრისპირები, ქვის სამაჯურის ფრაგმენტები, ხელსაფეკვაკები, ძვლისა და რქის თოხისნაირი იარაღი და სხვ.

მასალა დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. სახელმწ. მუზეუმში.

ლიტ.: Т у ш а б რ ა მ ი ш в и л ი Д. М., Археологические памятники Цуцхватского многоэтажного пещерного комплекса, წგ.: Изучение пещер Колхиды, Тб., 1978.

